ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №637472

ნომერი: AR1122138

თარიღი : 05.04.2013

გაცემის თარიღი : 11.04.2013

გაცნობის თარიღი : 11.04.2013

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი III , ქუჩა შუამთა , N 21 / ქალაქი თბილისი , საცხენისის და შუამთის ქუჩების გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მუსტაფა ოზდემ პ/ნ 01092000327
- ქ. თბილისი, კრწანისის ქ.7, ბ.9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მასივი III, შუამთის ქუჩა, #21/ქ. თბილისი, საცხენისის და შუამთის ქუჩების გადაკვეთაზე, შ.პ.ს. "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #027/015), I კლასის ღობის მშენებლობას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012172960 27.12.12წ. საკადასტრო კოდი #01.19.20.027.015; შ.პ.ს. "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს დირექტორის მინდობილობა #116 28.05.12წ.; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მასივი III, შუამთის ქუჩა, #21/ქ. თბილისი, საცხენისის და შუამთის ქუჩების გადაკვეთაზე, შ.პ.ს. "ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #027/015), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს #01.19.20.027.015 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

დამკვეთს დაევალოს წინამდებარე გადაწყვეტილების გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მოხსნას ამონაწერში საჯარო რეესტრიდან დარეგისტრირებული ვალდებულება-შეზღუდვა - "დაზუსტებული მიწის ფართობი 46.0 კვ.მ. დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე", რომლის შემდგომ წარმოსადგენი იქნება განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.